585
1952

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 3 (44) 1 ივნისი 1952 წელი

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული ბრძანებულებანი და დადგენილებანი.

33. ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფელ მარჩხაფონის გადარქმევისა და განახლების სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

34. ბრძანებულება პროფესორ ე. მ. გუზიკოვისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ.

35. ბრძანებულება საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის მონაწილეთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

36. მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ კასპისა და გორის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებში და გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომში.

37. ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ გაგრის რაიონის ლესელიძის სასოფლო საბჭოდან სოფელ კულტუბნის გამოყოფისა და განთიადის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.

38. ბრძანებულება ამხ. გ. ა. ჯაბუას საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

39. ბრძანებულება ამხ. რ. ა. კვირკველიას საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

40. ბრძანებულება ამხ. ო. ნ. ეგაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მინისტრად.

საქართ. სსრ მეცნ. აკად. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი და დადგენილებანი

33. გრძანებულება აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფელ მარჩხაფონის გადარქმევისა და განახლების სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება და ეწოდოს გალის რაიონის ნაბაკევის სასოფლო საბჭოს სოფელს მარჩხაფონს სოფელი განახლება;

გამოეყოს გალის რაიონის ნაბაკევის სასოფლო საბჭოს სოფელი განახლება, ხოლო გაგიდის სასოფლო საბჭოს სოფელი ოკვინორე და შეიქმნას მათგან განახლების სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ განახლებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 5 მაისი.

34. გრძანებულება პროფესორ ე. მ. გუზიკოვისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის მონაწილეთა პროფესიული ოსტატობის ამაღლების სისტემატური ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისათვის ხანგრძლივი შემოქმედებითი დახმარების გაწევის გამო მიენიჭოს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს ევგენი მიხეილის-ძე გუზიკოვს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 19 მაისი.

35. ბრძანებულება საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის მონაწილეთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კამერული მუსიკის განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, აგრეთვე ნაყოფიერი საკონცერტო-შესრულებითი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა

ჭიაურელს ბორის ივანეს-ძეს —საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის ხელმძღვანელს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა

1. ბარნაბიშვილს გიორგი კირილეს-ძეს —საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის არტისტს.
2. ბეგალიშვილს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს —საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის არტისტს.
3. ხატიაშვილს გივი ვლადიმერის ძეს —საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის არტისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 20 მაისი.

36. მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ კასპისა და გორის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებში და გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ კასპის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში და კასპის რაიონის სასოფლო საბჭოების აღმასკომებში მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმე დაყენებულია სრულიად არადამაკმაყოფილებლად. განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვა მოუწესრიგებელია, უხეშად იღლვება მათი განხილვის ვადები, ხშირია შემთხვევები განცხადებებისა და საჩივრების განხილვის გაჭიანურების, პასუხის გაცემის დაგვიანებისა და სრულიად გაუცემლობისაც. კასპის რაიონის საბჭოს აღმასკომს 1951 წელში მიღებულ 422 განცხადებიდან პასუხი არ უცნობებია 277 კაცისათვის, ე. ი. განმცხადებელთა 65,6 პროცენტისათვის, ხოლო 1952 წლის 28 აპრილამდე მიღებულ 92 განცხადებიდან—73 კაცისათვის. 1951 წელში გაგზავნილ 145 პასუხიდან 1 თვეზე მეტის დაგვიანებით პასუხი აცნობეს 81 განმცხადებელს, ხოლო 1952 წელში გაგზავნილ 19 პასუხიდან—16 განმცხადებელს. მაგალითად, მოქ.

ჯანანაშვილს, რომლის განცხადებაც კასპის აღმასკომს გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტიდან 1951 წლის 25 აპრილს (თხოულობდა კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებით ჩამორთმეულ საკარმიდამო ნაკვეთის დაბრუნებას), და რომლის შემოწმებაც დამთავრდა 1951 წლის მაისის თვეში, პასუხი ეცნობა 1952 წლის 5 თებერვალს, ე. ი. თითქმის 10 თვის შემდეგ. მოქ. მაზმიშვილს, რომელმაც 1951 წლის 16 ივლისს შეიტანა განცხადება კასპის რაისაბჭოს აღმასკომში ჩამორთმეული საკარმიდამო ნაკვეთის დაბრუნების შესახებ, და რომლის განხილვაც იმავე თვეში დამთავრდა, პასუხი ეცნობა 1952 წლის 2 თებერვალს, ე. ი. 7 თვის შემდეგ.

კასპის რაისაბჭოს აღმასკომს სრულიად არ განუხილავს 1951 წელში 33 და მიმდანარე წლის 1 მაისამდე 6 განცხადება, მათ შორის მოქ. მოქ. ბაინდურაშვილის, ბიძინაშვილისა და სხვებისა.

კასპის რაიონის აღმასკომსა და მის განყოფილებებში ადგილი აქვს აგრეთვე განცხადებებისა და საჩივრების დაკარგვის შემთხვევებს. კასპის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ დაკარგა განცხადება ექიმ შათირიშვილისა, რომელიც ითხოვდა ცნობას იმის შესახებ, რომ ის მუშაობდა კასპის რაიონში ექიმად. დაიკარგა აგრეთვე მოქ. კუდუხაშვილის განცხადება დაბადების მოწმობის გაცემის შესახებ, რომელიც კასპის აღმასკომმა გაგზავნა კასპის „მმაჩის“ განყოფილებაში. სულ კასპის აღმასკომში 1951 წელს და მიმდინარე წლის მაისამდე დაკარგულია 10 განცხადება.

კასპის რაიონის აღმასკომი თითქმის ყოველთვის აგვიანებს პასუხის მიცემას ზემდგომი ორგანოებიდან მიღებულ იმ განცხადებებზე, რომლებზედაც ითხოვენ პასუხს. მაგალითად, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დასჭირდა ორი მიმართვისა და ერთი დეპეშის გამოგზავნა იმისათვის, რომ კასპის აღმასკომისაგან 3 თვის შემდეგ მიეღო პასუხი მოქ. ილურიძის განცხადების გამო. ზოგიერთ ზემდგომ ორგანოს კი სრულებით არ ეგზავნება პასუხი. მაგალითად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1 მაისისათვის არ მიუღია პასუხი კასპის რაიონის აღმასკომისაგან მოქ. ბეგლარიშვილის განცხადებაზე, რომელიც გადაეგზავნათ მათ 1952 წ. 5 იანვარს, და რომლის განხილვაც დამთავრდა 23 თებერვალს (თხოულობდა ჩამორთმეული საკარმიდამო ნაკვეთის დაბრუნებას).

სულ 1951 წელში 2 თვისა და მეტის დაგვიანებით აცნობეს პასუხი ზემდგომ ორგანოებს 11 განცხადებაზე 25 განცხადებიდან, ხოლო 1952 წელს 6 განცხადებაზე—11 განცხადებიდან. სულ არ უცნობებიათ პასუხი 1951 წელს და მიმდინარე წლის 1 მაისამდე 4 განცხადებაზე.

კასპის რაიონის აღმასკომში არ არსებობს აგრეთვე კონტროლი აღმასკომიდან გაგზავნილ შეკითხვებისა და მოთხოვნების შესრულებაზე, ამის გამო 1951 წელში კასპის რაისაბჭოს აღმასკომის განყოფილებებსა და სასოფლო საბჭოს აღმასკომებში გადაგზავნილ 417 განცხადებიდან პასუხი არ მიუღია 191 განცხადებაზე, ხოლო მიმდინარე წელს გაგზავნილ 82 განცხადებიდან 63 განცხადებაზე.

მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის გაჭიანურების, პასუხის დაგვიანებით გაცემისა და უყურადღებოდ დატოვების, აგრეთვე ზემდგომი ორგანოებისათვის პასუხის დაგვიანებით შეტყობინების ფაქტებს, ადგილი აქვს გორის რაისაბჭოს აღმასკომშიც. მაგალითად, არაა გარკვეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ბედი ეწიათ 1951 წელს აღმასკომში შესულ მოქ. მოქ. კობლიანიძის, მელაშვილის, გაბარაშვილის, კარელიძის და სხვების განცხადებებს.

სრულიად უპასუხოდ არის დატოვებული ჯანმრთელობის განყოფილებაში შესული მოქ. მოქ. მანქელაშვილის, სალუქვაძის, ჯანეზაშვილის განცხადებები.

აღმასკომმა არ იცის შედეგი მის მიერ 1951 წ. 4 ივნისს ბერშუეთის კოლმეურნეობის გამგეობისათვის გაგზავნილ უსახელო განცხადებაზე, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კოლმეურნეობის საწყობს აკლდა სხვადასხვა პროდუქტები და რომელზედაც აღმასკომი თხოულობდა პასუხს 1951 წ. 20 ივნისისათვის.

გორის რაისაბჭოს აღმასკომში არის შემთხვევები შემოსული საჩივრების გამო არასწორი გადაწყვეტილების გამოტანისა. მაგალითად, გორის რაიონის აღმასკომმა შემოსული საჩივრის შემოწმებით გამოარკვია, რომ სკრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე პ. მამუკაშვილი წლების განმავლობაში არ იხდიდა სახელმწიფო გადასახადებს, უკანონოდ ფლობდა მიწის ნაკვეთს, მთლიანად არ ჰყავდა აყვანილი აღრიცხვაზე საკუთარი პირუტყვი და სხვ. მიუხედავად ამ დარღვევებისა, გორის რაიონის აღმასკომი დაკმაყოფილდა ამხ. მამუკაშვილისათვის სასტიკი საყვედურის გამოცხადებით. ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა კასპის რაიონული საბჭოს აღმასკომშიც.

მიუხედავად იმისა, რომ გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომში მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვა წარმოებს სპეციალურ წიგნში, რომ მათი განხილვა და განმცხადებლებისათვის პასუხის გაცემა, როგორც წესი, ხდება დროულად, ადგილი აქვს ცალკეულ დარღვევებს.

სახელდობრ, არ შემოწმებულა და არც გადაწყვეტილებაა მიღებული აღმასკომში 1952 წ. 20 თებერვალს შესულ უსახელო განცხადებაზე, რომელშიც ინდივიდუალური ბინათმშენებელნი უჩიოდნენ ქალაქის საარქიტექტურო სამმართველოს პროექტებში მეტი ფულის გადახდისა და სახელმწიფოს მიერ მიცემულ გრძელვადიანი სესხების გაუცემლობას.

დაუდევრად არის შედგენილი აღმასკომის მიერ დაბეჭდილი მიმართვების სტანდარტული ბლანკები. პასუხის გაცემა რუსულ ენაზე ხდება უცოდინრად და დამახინჯებით.

გორისა და კასპის რაიონებისა და გორის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს არ განუხილავთ თავის სხდომაზე 1952 წელში საკითხი მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ მათ განყოფილებებსა და სასოფლო საბჭოების აღმასკომებში-

შემოწმებულ აღმასკომებში და მათ განყოფილებებში ცუდათაა დაყენებული მთხოვნელთა მიღების საქმე. აღმასკომები საჩივრებისა და განცხადებების განხილვა-შემოწმების საქმეში სრულებით არ იყენებენ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საქმისადმი უპასუხისმგებლო, უსულგულო და ბიუროკრატიული დამოკიდებულების გამო, დაისვას საკითხი კასპის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. გ. მერებაშვილის მოხსნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ქ. გორის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ნ. ჩუბინიშვილს და გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ზ. თავზარაშვილს მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში არსებულ დარღვევათა გამო გამოეცხადოთ საყვედური.

3. დაევალოს კასპისა და გორის რაიონების და ქალაქ გორის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

ა) უმოკლეს დროში აღმოფხვრან ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი და ძირფესვიანად გარდაქმნან მუშაობა მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში;

ბ) მოაწესრიგონ რაიონული აღმასკომების განყოფილებებში და სასოფლო საბჭოებში განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვა და დროზედ აცნობონ განმცხადებლებს საჩივრებისა და განცხადებების გამო მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ;

გ) უზრუნველყონ განცხადებებისა და საჩივრების აუცილებელი განხილვა კანონით დადგენილ ვადებში (არაუგვიანეს 7 დღისა საბჭოთა არმიელების განცხადებებისა და 20 დღისა დანარჩენი განცხადებებისა);

დ) განცხადებებისა და საჩივრების შემოწმება დააკისრონ რაიონული საბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელ მუშაკებს, აგრეთვე ჩააბან ამ მუშაობაში დეპუტატები;

ე) სისტემატური კონტროლი გაუწიონ აღმასკომების განყოფილებათა და სასოფლო საბჭოების აღმასკომების მუშაობას მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში, პერიოდულად მოისმინონ აღმასკომების სხდომებზე განყოფილებათა გამგეებისა და სასოფლო საბჭოების აღმასკომების მოხსენებანი აღნიშნულ საკითხზე; მკაცრი პასუხი მოსთხოვონ თანამდებობის პირებს, რომლებიც უპასუხისმგებლოდ მოეკიდებიან განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეს;

ვ) გააუმჯობესონ მოქალაქეთა მიღება რაიონული საბჭოების აღმასკომებში და აღმასკომების განყოფილებებში.

4. დაევალოს კასპისა და გორის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს და ქ. გორის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს ერთი კვირის ვადაში განიხილონ ეს დადგენილება აღმასკომის სხდომებზე და მიიღონ საჭირო ზომები მის შესასრულებლად. წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1952 წლის 1 სექტემბრისათვის ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

5. აღნიშნული დადგენილება დაეგზავნოთ თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმებსა და მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 28 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

37. ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ გაგრის რაიონის ლესელიძის სასოფლო საბჭოდან სოფელ კულტუბნის გამოყოფისა და განთიადის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება, გამოეყოს გაგრის რაიონის ლესელიძის სასოფლო საბჭოს სოფელი კულტუბანი და მიეკუთვნოს ამავე რაიონის განთიადის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 28 მაისი

38. ბრძანებულება ამხ. გ. ა. ჯაბუას საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. გიორგი ანდრიას-ძე ჯაბუა საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან და დაინიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 28 მაისი.

39. ბრძანებულება ამხ. რ. ა. კვირკველიას საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. რაფიელ არტემის-ძე კვირკველია საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 28 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

40. ბრძანებულება ამხ. ო. ნ. ეგაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მინისტრად.

დაინიშნოს ამხ. ოთარ ნიკოლოზის-ძე ეგაძე საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 31 მაისი.